შ.პ.ს. “დიდგორი-2011” “Didgori-2011” Ltd
საქართველო, ქ. თბილისი, სოფელი დიღომი, ს/კ 404901111. ტელ.: 551147980
Village Dighomi, Tbilisi, Georgia, I/d: 404901111. Tel.: 551147980

ქ. თბილისი, გორგასალის ქუჩა №73 ს/კ 01.18.06.019.110 მრავალბინიანი, მრავალსართულიანი, მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლის კონსტრუქციული ნაწილის საექსპერტო შეფასება (კორექტირებული)

დირექტორი ნ. სილაგაძე

თბილისი 2024 წელი

ქ. თბილისი, გორგასალის ქუჩა №73 ს/კ 01.18.06.019.110

მრავალბინიანი, მრავალსართულიანი, მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლი

პროექტის კონსტრუქციული ნაწილის

საექსპერტო შეფასება (კორექტირებული)

კორექტირება გეგმარებითი ხასიათისაა და კონსტრუქციულ ცვლილებებს არ იწვევს.

ექსპერტიზის მიზანი: პროექტის კონსტრუქციული ნაწილის შესაბამისობა საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან და წესებთან.

საექსპერტოდ წარმოდგენილი მასალები:

1. არქიტექტურული-სამშენებლო ნაწილი;
2. საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევა;
3. პროექტის კონსტრუქციული ნაწილი;
4. კონსტრუქციული ნაწილის საანგარიშო მოდელი;

ყველა მასალა წარმოდგენილია ელექტრონულად.

პროექტის ავტორები:

არქიტექტორი: რევაზ ტყემალაძე.

კონსტრუქტორი: ზურაბ კიზირია.

ექსპერტი-კონსტრუქტორი: ზაურ სილაგაძე.

კვლევითი ნაწილი

არქიტექტურულ-გეგმარებითი გადაწყვეტის საფუძველზე შენობა გეგმაში რთული ფორმისაა და გააჩნია მცირე გამონაშვერები კონსოლური აივნების სახით. გეგმარებითი პარამეტრებია: განივი მიმართულებით 5.5+6.3+5.8+1.45+6.45 (მ); გრძივი მიმართულებით 5.75+6.6+6.8+6.45+3.05+6.4+5.85 (მ). გეგმაში მაქსიმალური პარამეტრებია L=40.9 მ. B=25.5 მ.

შენობა 17 სართულიანია მიწის ზემოთ 2 მიწისქვეშა სართულით. მიწისქვეშა სართულების სიმაღლეებია 2.85 მ. დანარჩენი სართულების სიმაღლეებია 3.3 მ. მაქსიმალური სიმაღლე მიწის ზედაპირიდან 59.4 მ.

შენობის კონსტრუქციული მზიდი სისტემა წარმოადგენს კავშირებიან სივრცით ჩარჩოს, რომელიც გაანგარიშებულია კომპლექსური პროგრამა Lira 9.4-ის გამოყენებით 8 ბალიან სეისმოაქტივობაზე. აღსანიშნავია, რომ ჩატარებულია ტერიტორიის გეოფიზიკური გამოკვლევა და ანგარიში შესრულებულია რეალური აქსელოგრამის გამოყენებით.

პროექტში მიღებულია შემდეგი გადაწყვეტები

საძირკველი – წიბოვანი ფილა ჯამური სიმაღლით 1.5 მ.

კოლონები – სხვადასხვა კვეთის: 800X800 მმ -5.70 ნიშნულიდან 3.30 ნიშნულის ჩათვლით; 700X700 მმ 3.30 ნიშნულიდან 23.10 ნიშნულის ჩათვლით; 600X600 მმ 23.10 ნიშნულიდან 42.90 ნიშნულის ჩათვლით; 500X500 მმ 42.90 ნიშნულიდან ბოლომდე.

რიგელები – სხვადასხვა კვეთის 800X500 მმ -5.70 ნიშნულიდან 3.30 ნიშნულის ჩათვლით; 700X500 მმ 6.60 ნიშნულიდან 23.10 ნიშნულის ჩათვლით; 600X500 მმ 26.40 ნიშნულიდან 42.90 ნიშნულის ჩათვლით; 500X500 მმ ყველა დანარჩენ სართულებზე.

გადახურვის ფილები – -2.85 და 0.00 ნიშნულებზე 200 მმ; დანარჩენ სართულებზე 180 მმ.

დიაფრაგმები და სარდაფის კედლები – სისქით 300 მმ.

კიბის ჩანები – Z-ის მაგვარი ფილა სისქით 180 მმ.

მუშა ნახაზები დამუშავებულია დეტალურად ძირითადი კვანძებითა და მასალის სპეციფიკაციებით.

ყველა კონსტრუქციულ ელემენტში მიღებულია ბეტონი კლასით B30, არმატურა A500C და A240.

კონსტრუქციული ელემენტების არმირება, კვეთების სიდიდეები სრულ შესაბამისობაშია არქიტექტურულ-გეგმარებით გადაწყვეტასთან და ანგარიშით მიღებულ შედეგებთან.

დასკვნა

ექსპერტიზაზე წარმოდგენილი პროექტის კონსტრუქციული ნაწილი სრულ შესაბამისობაშია რესპუბლიკაში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან. ექსპერტი ცალსახად დადებითად აფასებს პროექტში მიღებულ გადაწყვეტებს და რეკომენდაციას უწევს მშენებლობის ნებართვის მისაღებად და განსახორციელებლად.

კონსტრუქტორი  ზ. სილაგაძე

გამოყენებული ლიტერატურა

1. პნ 01.01-09 სეისმომედეგი მშენებლობა;
2. პნ 02.01-08 შენობებისა და ნაგებობების ფუძეები;
3. პნ 03.01-09 ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები.